ოქმი №5

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეხუთე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 16 ივნისი, 16 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ბ. ბრეგაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, ე.არჩაია, პ.ლილუაშვილი, გ.მანაგაძე, დ.ფხაკაძე, ი.შენგელია, მ.სიმონიძე, ჯ.ბიბილეიშვილი.**

სულ: კომისიის 14 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, კ.გურული, რ.ქვაჩაკიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი **დ.ნიშნიანიძე.**

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

   /ბ.მახარაძე,
   დ.ნიშნიანიძე/

2. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ სხდომას, რომელიც ბიუჯეტში მე-3 ცვლილებას შეეხება. მასალები თქვენთან გამოგზავნილია. სასიამოვნოა, რომ ამ ცვლილებით ჩვენი ბიუჯეტი 9,7 მლნ. ლარით იზრდება და 125,6 მლნ. ლარს აღწევს. დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ბატონ **დავით ნიშნიანიძეს**“.

1. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია: „წარმოდგენილ ცვლილებას საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 და 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებები, რომლითაც განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამა გაიზარდა 739,6 ათასი ლარით; „ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის" ქვეპროგრამა 4949,2 ათასი ლარით; „მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის" ქვეპროგრამა 2152,5 ათასი ლარით; „სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია - ექსპლოატაციის" ქვეპროგრამა 1320,2 ათასი ლარით; სოციალური ღონისძიებების პროგრამას დაემატა შემდეგი ქვეპროგრამები: „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება" - 70,0 ათასი ლარი, „ბავშვის განვითარების ხელშეწყობა" - 30,0 ათასი ლარი

ამასთან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შეიქმნა ახალი სამსახურები: „მერიის მუნიციპალური სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების"; „მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების"; „კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური". ასევე ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია"

აღნიშნული ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 125 590,0 ათას ლარს (დეტალური ანგარიში თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „გთხოვთ გაგვიმარტოთ, 4,9 მლნ. ლარით რა პროექტი კეთდება და რა არის ამ თანხის წყარო?"

დ.ნიშნიანიძე: „ამ თანხის წყაროა რეგიონული განვითარების ფონდი და ქალაქის ცენტრში, ყოფილი მუზეუმის ადგილას განთავსდება მულტიფუნქციური საგამოფენო დარბაზი".

კომისიის წევრი **პ.ლილუაშვილი:** „ამ შენობის წინა ფასადი შენარჩუნდება, რომელიც 1860 წელსაა აგებული და გაკეთდება შუშის კონსტრუქცია. აქ შეგვეძლება სტუმრების მიღებაც, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება".

კომისიის წევრი **ზ.მამასახლისი:** „რატომ შემცირდა გამწვანების თანხა 30 ათასი ლარით?"

დ.ნიშნიანიძე: „ეს არის ტენდერებისაგან მიღებული ეკონომია".

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „რამდენ მუხლს შეეხო წარმოდგენილი ცვლილებები და ბიუჯეტი სულ რამდენი მუხლისგან შედგება?"

დ.ნიშნიანიძე: „ბიუჯეტი დაახლოებით 98 მუხლისგან შედგება და ცვლილება ეხება 35-მდე მუხლს".

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „გამოდის, რომ იცვლება ბიუჯეტის მუხლების 1/3. მე ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ დაგეგმვაში გვაქვს პრობლემები. ერთ მაგალითს მოვიყვან: ამჟამად მიმდინარეობს საფეხბურთო კლუბ „მართვეს" სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და

პროექტში არ იყო გათვალისწინებული საფეხბურთო კარებები და განათება, რაც შემდგომ დაემატა, ანუ მოხდა ცვლილება“.

დ.ნიშნიანიძე: „შეუძლებელია ბიუჯეტი ისე დაიგეგმოს, რომ ცვლილება არ განხორციელდეს“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „მე მესმის თქვენი გულისტკივილი ამ საკითხზე, თუმცა ბიუჯეტის გაზრდა ყოველთვის მისასალმებელია. თუ სხვა შეკითხვები არ გაქვთ, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 11, **თავი შეიკავა** - 2.

წინააღმდეგი - 1

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

ამით, საკრებულოს კომისიის მეხუთე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე